სამოდელო (პრობლემაზე ორიენტირებული ) ღია გაკვეთილი ისტორიაში

გაკვეთილის ჩატარების თარიღი : 29.03.18

| | |
|---|---|
| გაკვეთილის თემა | ქალაქი, როგორც მრავალფეროვნების სახე ანუ თბილისი გუშინ, დღეს, ხვალ. |
| სამიზნე ჯგუფი | X კლასი, 29 მოსწავლე |
| მასწავლებლის<br><br>სახელი, გვარი | ლია ჯანაშია |
| მიზნები და ამოცანები | წყაროებისა და ტექსტის დახმარებით, თბილისის მაგალითზე გაეცნობიან, გაანალიზებენ და განსაზღვრავენ ცვლილებებს საქალაქო ყოფაში. ვიზუალური წყაროების საშუალებით აღწერენ თბილისის იერსახეს, განსაზღვრავენ იერსახის ცვლილებათა მიზეზებს და დაუკავშირებენ თბილისში სხვადასხვა დროს მცხოვრებ ხალხთა გავლენას, ე.ი წარმოადგენენ ქალაქის განვითარების პროცესს: წარსულში, აწმყოსა და მომავალში.<br><br>**უნარ/ჩვევები:** სოციალური უნარები, ვიზუალური და ნარატიული წყაროების დამოუკიდებლად გაანალიზების უნარები. პრობლემის დანახვის და გადაჭრის უნარები. |
| მასალის აქტუალობა და წინარე ცოდნა | თბილისიში მიმდინარე მშენებლობების მოზანშეწონილობა ხშირ შემთხვევაში დარღვეულია რაც, დღეისთვის დედაქალაქისათვის პრობლემას წარმოადგენს, პრობლემის დანახვა და გაანალიზება, საკუთარი აზრის ჩამოყალიბება საინტერესო იქნება, რადგან ქვეყნის დედაქალაქის იერსახეზე ზრუნვა მომავალი თაობის საზრუნავიცაა.<br><br>თბილისის ისტორიის და კულტურის შესასხებ მიღებული ცოდნა წინა კლასებში. |

| | |
|---|---|
| ხანგძლივობა | 45წუთი. |
| ეროვნულისასწავლოგეგმითგანსაზღვრულიმისაღწევიშედეგი/ინდიკატორები | **ისტ.X.5. მოსწავლეს შეუძლია ისტორიული წყაროების კლასიფიცირება.**<br>**შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:**<br>● ტიპოლოგიურად აჯგუფებს საისტორიო წყაროებს;<br>● აღიქვამს ეთნოგრაფიული და არქეოლიგიური მონაცემების, როგორც საისტორიო წყაროს, მნიშვნელობას;<br>**ისტ.X.6. მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს პირველადი და მეორადი წყაროები.**<br>**შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:**<br>● მსჯელობს პირველად და მეორად წყაროებზე;<br>● გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას ისტორიული წყაროს ავტორის შესახებ და კრიტიკულად აფასებს, თუ რამდენად სანდოა იგი |
| მეთოდები და სტრატეგიები | ● წყაროზე და ტექსტზე დამოუკიდებელი მუშაობა.<br>● ასოციაციური რუკა.<br>● კითხვა-პასუხი. |

| | |
|---|---|
| მუშაობის ფორმა | ინდივიდუალური და ჯგუფური |
| საჭირო რესურსები | სახელმძღვანელო. დამხმარე სახელმძღვანელო:<br><br>„კულტურათა გზაჯვარედინზე“(შავი ზღვის რეგიონის ქვეყნები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცვლილებები XIX-XX საუკუნეებში), დაფა, ცარცი, რვეული, კალამი, ფორმატის ფურცელი, ფლომასტერები. მასწავლებლის მიერ მომზადებული ვიზუალური და წერილობითი წყაროები, |
| | **გაკვეთილის მსვლელობა**<br><br>**A--ფაზა დრო -- 2 წ**<br><br>**საორგანიზაციო საკითხები.**<br>**გაკვეთილის მიზნის გაცნობა.**<br>**შეფასების კრიტერიუმების გაცნობა.**<br><br>2.ჯგუფების შექმნა (5 ჯგუფი)<br><br>**ყოველი აქტივობის შემდეგ ხდება უკუკავშირი მოსწავლეებთან, ვიყენებ განმავითარებელ შეფასებებს.**<br><br>**აქტივობა-1 დრო --- 2-3 წ**<br><br>1.გონებრივი იერიშის გამოყენებით, მუშაობა ასოციაციური კავშირების რუკაზე: „ქალაქი“<br><br>ა.რა ასოციაციას იწვევს სიტყვა „ქალაქი“?<br><br>ბ.რა არის თქვენი აზრით ქალაქი?<br><br>გ.რითი განსხვავდებიან ქალაქები ერთმანეთისაგან?<br><br>**აქტივობა-2 დრო -- 2-3 წ** |

| | |
|---|---|
| | მასწავლებელი შეკითხვების საშუალებით ღებულობს პასუხებს თბილისის ისტორიასთან დაკავშირებით.<br><br>მიმოვიხილე მოკლე ისტორია, ეხლა კი შეიძლება მოგცეთ დავალებები:<br><br>**B--ფაზა დრო -- 25 წ**<br><br>**აქტივობა-3**<br><br>მასწავლებელი ურიგებს ჯგუფებს წყაროებს.<br><br>**ჯგუფი N1**<br><br>მასწავლებელი აკეთებს მკაფიო ინსტრუქტაჟს ჯგუფისთვის.<br><br>მიაქციეთ ყურადღება სურათებისა და გრავიურების შექმნის თარიღს და იმას თუ რას ასახავენ მათი ავტორები XVIII საუკუნის დამლევს და XIX საუკუნის პირველი ნახევრის თბილისში. ისაუბრეთ არგუმენტირებულდ.<br><br>ჯგუფს ეძლევათ შემდეგი წყარო (1-7) გასაანალიზებლად: 1.გერმანელი მოგზაური გიულდენშტენდი 1770-იანი წლების თბილისის შესახებ. 2.რუსი მწერალი ალ. პუშკინი 1829 წლის თბილისის შესახებ. 3.ინგლისელი მოგზაური რიჩარდ უილბრაჰამი XIX საუკუნის 30-იანი წლების თბილისის შესახებ.<br><br>შეკითხვა: 1.თქვენი ვარაუდით, წყაროებში აღწერილი შენობები, ქალაქის რომელ უბანში შეიძლება ყოფილიყო.<br><br>2.ისაუბრეთ წყაროების ავტორებზე და რაზე მეტყველებს მათი ინტერესი ქალაქისადმი?<br><br>3.რა ზეგავლენა შეიძლება მოეხდინა მოგზაურის წარმომავლობას მის შთაბეჭდილებებზე? რატომ?<br><br>4.რა პრობლემებს ხედავთ წყაროებში, ქალაქის სახეცვლილებასთან დაკავშირებით? ისაუბრეთ არგუმენტირებულად.<br><br>ჩამოწერეთ საკვანძო სიტყვები.<br><br>**პრეზენტაცია.** |

| | |
|---|---|
| | **ჯგუფი N2**<br><br>მასწავლებელი  აკეთებს მკაფიო ინსტრუქტაჟს ჯგუფისთვის.<br><br>1.ფრანგი მწერალი ალ. დიუმა XIX  50-იანი თბილისის შესახებ.<br>2. ნორვეგიელი მწერალი კნუტ ჰამსუნი 1899 წლის თბილისის შესახებ. (წყარო -8-9)<br><br>შეკითხვა: 1.თქვენი  ვარაუდით, თქვენს წყაროებში  აღწეილი შენობები, ქალაქის რომელ უბანში შეიძლება ყოფილიყო.<br><br>2.რა სიახლეები დაინახეს წყაროების ავტორებმა?<br><br>3. .ქალაქის რა თავისებურებებია ხაზგასმული თბილისში სტუმრობის შესახებ ჩანაწერებში?<br><br>ისაუბრეთ არგუმენტირებულად.<br><br>ჩამოწერეთ საკვანძო სიტყვები.<br><br>**პრეზენტაცია.**<br><br>**ჯგუფი N3**<br><br>მასწავლებელი აკეთებს მკაფიო ინსტრუქტაჟს ჯგუფისთვის.<br><br>წყარო 10-13.<br><br>შეკითხვა: 1. რა არის  თანამედროვე ფოტოებზე გამოსახული ამ შენობებიდან, რომელი შეიძლება ენახათ მხატვრებს ან მოგზაურებს, რომელთა შთაბეჭდილებები წარმოდგენილია წყაროში.<br><br>2. გამოთქვით მოსაზრება: რა აერთიანებს თქვენი აზრით მოგზაურთა  შთაბეჭდილებებს?<br><br>ისაუბრეთ არგუმენტირებულად.<br><br>ჩამოწერეთ საკვანძო სიტყვები.<br><br>**პრეზენტაცია.** |

| | |
|---|---|
| | **ჯგუფი N4**<br><br>მასწავლებელი აკეთებს მკაფიო ინსტრუქტაჟს ჯგუფისთვის.<br><br>ჯგუფს ეძლევა წყარო: 1.თანამედროვე მკვლევარები თბილისის ეკონომიკური თავისებურებების შესახებ XIX საუკუნის მეორე ნახევარში; 2.ჰერმანელი კოლონისტები საქართველოში; 3.თბილისის ძველი სასტუმროები; 4. ქალთა მოდის სეცვლის შესახებ; 5"პალას ოტელი"; (წყარო 14, 16, 17, 18, 19)<br><br>შეკითხვა: 1.მოცემული წყაროების საფუძველზე გაანალიზეთ, რა სიახლე გაჩნდა საქართველოსა და თბილისის ცხოვრებაში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე?<br><br>2.როგორ შეცვალა ამან ქალაქის მკვიდრთა ცხოვრების წესი და ქალაქის იერსახე?<br><br>3.რა აკავშირებს წყარო 18-ს წყაროებთან 14-17 ? 4.ისაუბრეთ რა იცით წყარო 19-ზე?<br><br>ისაუბრეთ არგუმენტირებულად.<br><br>ჩამოწერეთ საკვანძო სიტყვები.<br><br>**პრეზენტაცია.**<br><br>**ჯგუფი N5**<br><br>მასწავლებელი აკეთებს მკაფიო ინსტრუქტაჟს ჯგუფისთვის.<br><br>ჯგუფს ეძლევა წყარო: 1.სასამართლო პალატისა და საოლქო სასამართლოს შენობა; 2.სასახლე, რომელსიც ეხლა განლაგებულია თეატრის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმი; 3.სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის შენობა; 4.მხატვართა საზოგადოების სახლი; 5.ოტელი მაჯესტიკი; (წყარო 20, 21, 22, 23, 24)<br><br>შეკითხვა:1. დააკვირდით წყაროებს და მონაცემების მიხედვით დაადგინეთ ახალი შენობების სახელწოდება?<br><br>2.ვინ არიან ამ ნაგებობების ავტორები? |

| | |
|---|---|
| | 3.რას მოწმობს ის, რომ საჯარო ნაგებობათა ასაშენებლად საზღვარგარეთელ არქიტექტორებს იწვევდნენ და რამდენად არის დაკავშირებული ასეთი არქიტექტურა ტრადიციულ ქართულ კულტურასთან?<br><br>ისაუბრეთ არგუმენტირებულად.<br><br>ჩამოწერეთ საკვანძო სიტყვები.<br><br>**პრეზენტაცია.**<br><br>**აქტივობა-4**<br><br>**C--ფაზა დრო --- 12 წ**<br><br>მასალის შეჯამებისთვის მასწავლებელი კლას უსვამს კითხვებს:<br><br>1.დააკვირდით საკვანძო სიტყვებს და გააკეთეთ დასკვნა: რამდენად სრული იქნება ამ სიტყვების გამოყენებით თბილისის აღწერა?<br><br>2. თქვენი აზრით რა აქვს საერთო და განმასხვავებელი თბილისის აღწერისას ვიზუალურ და ნარატიულ წყაროებს?<br><br>3.თქვენი აზრით, რას დაკარგავდა თბილისი, რომ ყოფილიყო „დახურული ქალაქი“ , რომელშიც არავინ იცხოვრებდა ქართველების გარდა?<br><br>4.თქვენი აზრით გაეცა თუ არა პასუხი შეკითხვას როგორ და რატომ იცვლება ქალაქის იერსახე?<br><br>5.სათაურში გამოყენებული ცნება „მრავალფეროვნება“ რამდენად აისახა დავალებების განხილვაში?<br><br>6.სურათების დახმარებით თქვენ ნახეთ დღევანდელი თბილისის იერსახე.<br><br>7.ჩამოაყალიბეთ თქვენი თვალით დანახული პრობლემა დღევანდელი ქალაქის განვითარებაში და მისი გადაჭრის გზები.<br><br> პრობლემა \| გადაჭრის გზები<br>[illegible] |

| | |
|---|---|
| | <table><tr><td></td><td></td></tr></table><br>მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილს, აფასებს მოსწავლეებს რუბრიკის მიხედვით, აკეთებს კომენტარებს. |

**შეფასების რუბრიკა**

შეფასების რუბრიკა პრეზენტაციისატვის

-

| **პრეზენტაცია** | **საშუალო** | **კარგი** | **ძალიან კარგი** |
|---|---|---|---|
| **დავალებასთან შესაბამისობა** | საპრეზენტაციო მასალაში მხოლოდ ცალკეულ საკითხზეა გამახილებული ყურადღება | პრეზენტაციისას ძირითადად გამოკვეთილია მნიშვნელოვანი საკითხები | პრეზენტაციისას წარმოდგენილია ყველა საკვანძო საკითხი |
| **სათქმელის ლოგიკურად ჩამოყალიბება** | საკითხზე მსჯელობისას აზრი გასაგებია, თუმცა არათანმიმდევრულია მსჯელობა | მსჯელობა არსებითად გასაგებია, თუმცა დროდადრო ირღვევა ლოგიკური კავშირები | სათქმელს აყალიბებს გამართულად, მსჯელობა ლოგიკურია |
| **აუდიტორიის ფლობა** | უჭირს მთლიანი აუდიტორიის ფლობა | ძირითადად ფლობს აუდიტორიას, მაგრამ არ იყენებს ეფექტური კომუნიკაციის ხერხებს | მთლიანად ფლობს აუდიტორიას; იყენებს კომუნიკაციის სხვადსხვა ხერხს |

| | | | |
|---|---|---|---|
| **პრეზენტაციის ორიგინალობა** | შეინიშნება ორიგინალურობის ელემენტები | პრეზენტაცია არსებითად ორიგინალუ-რია . | მთლიანად ორიგინაულურია, გამოყენებულია სხვადასხვა თვალსაჩინოება |

**წყაროზე მუშაობის შეფასების რუბრიკა**

| **წყაროზე მუშაობა** | **1-4** | **5-6** | **7-8** | **9-10** |
|---|---|---|---|---|
| **ისტორიული წყაროების კლასიფიცირება.** | ვერ ახერხებს წყაროების კლასიფიკაციას. | ძირითადად უჭირს წყაროების კლასიფიკაცია. | ნაწილობრივ ახერხებს წყაროების კლასიფიკაციას, მაგრამ ვერ მჰოყავს არგუმენტები. | ახდენს წყაროების კლასიფიკაცია და მოჰყავს შესაბამისი არგუმენტები. |
| **პირველადი და მეორადი წყაროების გაანალიზება და არგუმენტირება.** | ვერ აანალიზებს პირველად და მეოერად წყაროებს, ვერ მოყავს არგუმენტები. | არჩევს პირველად და მეორად წყაროებს, მაგრამ უჭირს გაანალიზება. | ნაწილობრივ ახერხებს პირველადი და მეორადი წყაროების გაანალიზებას, არგუმენტები ვერ მოყავს. | აანალიზებს პირველად და მეორად წყაროებს, მოჰყავს შესაბამისი არგუმენტები. |

რეფლექსია

2018 წლის 29 მარტს ჩავატარე სამოდელო (პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი) ღია გაკვეთილი $X^2$ კლასში . გაკვეთილის თემა:“ქალაქი, როგორც მრავალფეროვნების სახე ანუ თბილისი გუშინ, დღეს, ხვალ.“

მოსწავლეებზე დაკვირვებამ და ჩემი პრაქტიკის ანალიზმა მაჩვენა, რომ ჩემს მოსწავლეებს კარგად აქვთ ტრანსფერის უნარები განვითარებული. გაკვეთილმა კარგად დამანახა რომ, მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეს, რომ მან შეძენილი ცოდნა და გამოცდილება სხვადასხვა შინაარსობრივ კონტექსტში გადაიტანოს და გამოიყენოს. მოყვანილი მაგალითები შეესაბამებამებოდა გაკვეთილის თემას და მიზანს, ვიყენებდი ლექსიკას, რომელიც მორგებული იყო მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებზე.

გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებს გავაცანი თემა, გავაცანი გაკვეთილის მიზანი და შეფასების კრიტერიუმები. აქცენტი გავაკეთე გაკვეთილის სათაურზე და ძირითად კითხვაზე, რომლისთვისაც პასუხი უნდა გაეცათ გაკვეთილის შეჯამების დროს.

გაკვეთილი პასუხობდა პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების ყველა მოთხოვნას. დასმული პრობლემა აქტუალურია მოსწავლეებისთვის, რადგანაც საუბარი იყო საქართველოს დედაქალაქის არქიტექტურაზე XVIII-XXI საუკუნეებში დოკუმენტებისა და წყაროების დახმარებით, უნდა მისულიყვნენ პრობლემამდე და დაესახათ გადაჭრის გზები, რადგანაც სწორედ მათ მოუწევთ მომავალში იზრუნონ თბილისის იერსახეზე და განვითარებაზე. თითოეულმა ჯგუფმა, ინფორმაციიდან გამომდინარე, გამოყო პრობლემები და დასახეს მისი გადაჭრის გზები.

გათვალისწინებული იყო გაკვეთილზე მათი ასაკობრივი თავისებურება და წინარე ცოდნა, რაც განაპირობებდა მოსწავლეთა მაღალ მოტივაციას; გაკვეთილი სრულად უწყობდა ხელს შედეგის მიღწევას. გაკვეთილზე გამოყენებულ იქნა მასწავლებლის მიერ წინასწარ გამზადებული თვალსაჩინოებები, სქემები, რომელმაც ხელი შეუწყო დასახული პრობლემის კიდევ უფრო თვალნათლივ გამოკვეთას.

გაკვეთილი ორიენტირებული იყო არა მხოლოდ გაგებასა და გამოყენებაზე, არამედ ანალიზზე, მსჯელობასა და შეფასებაზე. მოსწავლეებმა დამოუკიდებლად იმუშავეს ნარატიულ და ფოტომასალაზე, იმსჯელეს და შეაფასეს ავტორების მიერ გადმოცემული ინფორმაციები და მოხდა ამ მასალების თანამედროვეობასთან კავშირი.

მიმაჩნია, რომ გაკვეთილი სასარგებლო იყო ჩემი მოსწავლეებისთვის, რადგან გაკვეთილზე გამოყენებულმა აქტივობებმა ხელი შეუწყო დაკვირვების, მსჯელობის, შედარების, ანალიზის, დასკვნების და ტრანსფერის უნარების განვითარებას. მნიშვნელოვანია მოსწავლებში სოციალური უნარების განვითარებაც, რასაც ხელს უწყობს თანამშრომლობითი სწავლება. თანამშრომლობითი სწავლების დროს მოსწავლეებს უვითარდებათ როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური – პასუხისმგებლობა. ამ დროს თითოეული მათგანი პასუხს აგებს არა მარტო საკუთარ თავზე, არამედ ჯგუფსა და მის წარმატებაზეც. სწორედ ამიტომ, გაკვეთილში გამოვიყენე თანამშრომლობითი სწავლება. ჯგუფში მუშაობისას მოსწავლეებმა გადაინაწილეს ფუნქციები, ერთმანეთს უზიარებდნენ აზრს, წარმატებით შეასრულეს შეთავაზებული დავალებები. მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართული მუშაობაში, მთელი გაკვეთილის პროცესში, კლასში არ იყო არც ერთი პასიური მოსწავლე.

გაკვეთილი წარმატებული იყო სხვადასხვა კომპონენტში: წინარე ცოდნის გამოყენებით მოსწავლეებმა ისაუბრეს თბილისის განვითარებაზე სხვადასხვა ეპოქებში და შეაფასეს. აქტიურად ავლებდნენ პარალელებს თანამედროვეობასთან , აფასებდნენ წყაროების ავტორებს და მათ ნაშრომებს და ამ ყველაფერს უკავშირებდნენ უცხოელი ავტორების წარმომავლობას. შექმნილი იყო ურთიერთპატივისცემის გარემო. მოხდა სასწავლო რესურსების ეფექტიანი გამოყენება. გამოყენებული სასწავლო რესურსი ყველა მოსწავლისათვის ხელმისაწვდომი იყო. ჩემსა და მოსწავლეებს შორის იყო ეფექტური კომუნიკაცია. გაკვეთილის მსვლელობის დროს ვიყენებდი კითხვებს, რომლებიც მოსწავლეებისაგან დაფიქრებას, საკითხის გააზრებასა და მსჯელობას მოითხოვდა. გაკვეთილი თავიდან ბოლომდე დინამიურად და ხალისიანად წარიმართა. პროცესი იყო ინტერაქტიური. ყველა ეტაპზე საგაკვეთილო პროცესში თანაბრად იყო ჩართული ყველა მოსწავლე.

გაკვეთილის ეფექტურობა განაპირობა გაკვეთილის სწორად დაგეგმვამ. გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა წინარე ცოდნა და ინტერესები, აქტივობები ლოგიკურად ებმოდა ერთმანეთს.

გაკვეთილი სასარგებლო იყო კოლეგებისთვისაც იმ თვალსაზრისით, რომ გაკვეთილზე თითოეული მოსწავლის მიმართ გამოვიყენე განმავითარებელი უკუკავშირი. გაკვეთილი დაეხმარება კოლეგებს პროფესიულ განვითარებაში, გაკვეთილიდან გამომდინარე გაუჩნდებათ სურვილი მისი საკუთარ პრაქტიკაზე მორგებისა და გამოყენების, უფრო მეტად გამოიჩნენ ინტერესს პრობლემური საკითხების კლასთან ერთად განხილვის და განსხვავებული მოსაზრებების, პრობლემების გაანალიზების და შეფასების მიმართ. ასეთი გაკვეთილები უბიძგებს მასწავლებლებს ახალი იდეების პრაქტიკაში დანერგვისაკენ.

კოლეგებისთვის,, ჩემი აზრით ეს გაკვეთილი საინტერესო იყო იმდენად , რამდენადაც მოსწავლეებს უვითარებს აზროვნებს უნარს, პრობლემაზე ორიენტირებულობას, ანალიზისა და დასკვნების

გამოტანის უნარ-ჩვევებს. ეს მეთოდი შესაძლებელია გამოიყენოს მასწავლებლმა ყველა ასაკის მოსწავლეებთან სამუშაოდ.. ინფორმაციის დამუშვება- გააანალიზება, პრობლემის დანახვა, დასკვნების გამოტანა, არგუმენტირება ისტორიის გაკვეთილისთვის აუცილებელია. ეს მეთოდი კი ამ უნარების განვითარებას უწყობს ხელს.

ყველა ჩატარებული გაკვეთილი გვეხმარება მასწავლებლებს კიდევ უფრო დავხვეწოთ და გავაუმჯობესოთ შემდეგი გაკვეთილები და აქტივობები ,გაკვეთილის მსვლელობის დროს გამოიკვეთა, მცირე ნიუანსები, რომელიც გაუმჯობესებას საჭიროებს მაგ: შემდეგში აუცილებლად უნდა გავითვალისწინო მასალის მოცულობა, რომელიც, ბევრი იყო საგაკვეთილო პროცესისთვის და ამიტომ გაკვეთილის მსვლელობის დროს მოვახდინე მოდიფიცირება, საკითხები რომელიც განიხილეს და ისაუბრეს მოსწავლეებმა, შეეძლოთ კიდევ უფრო მეტად გაეშალათ, მაგრამ დროის სიმცირის გამო საჭიროდ ჩავთვალე ზოგიერთ საკითხისთვის ნაკლები დრო დაეთმოთ.

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებმა შეაფასეს საკუთარი გუნდის მუშაობა, შეფასდენენ აქტიური მოსწავლეებიც.

გამოყენებული მეთოდი და აქტივობები შეესაბამებოდა ჩემს მიერ დაგეგმილ გაკვეთილს და მიზანს, რომელიც სრულად იქნა მიღწეული.

ლ.ჯანაშია